საქართველო 2024

ბავშვობის ასაკში ქორწინება

ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ადრეული ქორწინების კვლევა

ბავშვობის ასაკში ქორწინება: დონეები და ძირითადი მაჩვენებლები

ქორწინება 15 წლის და 18 წლის ასაკამდე (20-24 წლის ასაკის ქალებისათვის): SDG 5.3.1



20-24 წლის ასაკის ქალების პროცენტული წილი, რომლებიც პირველად დაქორწინდნენ ან დაიწყეს ცხოვრება პარტნიორთან 15 და 18 წლის ასაკამდე, დასახლების ტიპის და განათლების დონის მიხედვით;

* მონაცემები ეფუძნება 25-49 შეუწონავ დაკვირვებას.

საკვანძო გზავნილები

- ბავშვობის ასაკში ქორწინება კვლავ გამოწვევად რჩება. მონაცემები გვიჩვენებს, რომ 18 წლამდე ასაკში დაქორწინდა 20-24 წლის ასაკის ქალთა 7%.
- ბავშვობის ასაკში ქორწინება პრობლემაა მთელ ქვეყანაში. თუმცა, მისი გავრცელების თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად განსხვავდება ქალაქისა და სოფლის ტიპის დასახლებები. ქალაქის ტიპის დასახლებებში მცხოვრებ 20-24 წლის ასაკის ქალთა 2% დაქორწინდა ან იმყოფებოდა არარეგისტრირებულ ქორწინებაში 18 წლის ასაკამდე. სოფლის ტიპის დასახლებებში მცხოვრებთათვის ეს მაჩვენებელი 19%-ია.
- ბავშვობის ასაკში ქორწინება კავშირშია განათლებასთან. 18 წლამდე დაქორწინებულ ან არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ 20-24 წლის ასაკის ქალთაგან 53%-ს აქვს დაწყებითი ან არასრული საშუალო განათლება, ხოლო 14%-ს - სრული საშუალო განათლება. საგულისხმოა, რომ კვლევაში მონაწილე უმაღლესი განათლების მქონე 20-24 წლის ასაკის ქალებიდან არავინ ყოფილა დაქორწინებული ან არარეგისტრირებულ ქორწინებაში 18 წლის ასაკამდე.
- ადრეული ქორწინების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი სხვაობაა ასაკობრივ ჯგუფებს შორის. 15 და 18 წლამდე ქორწინების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 45-49 წლის ასაკის ქალებში, რაც შესაბამისად წარმოადგენს 1% და 20%-ს.

ადრეული ქორწინება ეროვნების მიხედვით

ეროვნება	15 წლის ასაკამდე დაქორწინებული	18 წლის ასაკამდე დაქორწინებული
საქართველო	1	14
ქართველი	1	12
აზერბაიჯანელი	6	41
სომეხი	0	14
სხვა	0	13

20-49 წლის ასაკის ქალების პროცენტული წილი, რომლებიც პირველად დაქორწინდნენ ან დაიწყეს ცხოვრება პარტნიორთან 15 და 18 წლის ასაკამდე, ეროვნების მიხედვით.

ბავშვობის ასაკში ქორწინება გოგოების უფლების უხეში დარღვევაა, რაც მათ ართმევს ბავშვობას, ხელს უშლის სრულფასოვანი განათლების მიღებას, საფრთხეს უქმნის ჯანმრთელობას, ზღუდავს მათი განვითარებისა და კეთილდღეობის შესაძლებლობებს.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით აღიარებულია სრულწლოვანი პირის უფლება, დაქორწინდეს და შექმნას ოჯახი ორივე მხარის თავისუფალი თანხმობისას. ბავშვის უფლებათა კონვენციის მიხედვით, 18 წლამდე ასაკის ყოველი ადამიანი ითვლება ბავშვად, ანუ არასრულწლოვნად. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, 18 წლამდე ქორწინება აკრძალულია ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, ამასთან, დასჯადია სრულწლოვანის მიერ 16 წლამდე ასაკის პირთან სქესობრივი კავშირის დამყარება.

ადრეული ქორწინების ტენდენციები



20-49 წლის ასაკის ქალების პროცენტული წილი, რომლებიც პირველად დაქორწინდნენ ან დაიწყეს ცხოვრება პარტნიორთან 15 და 18 წლის ასაკამდე, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ადრეული ქორწინების კვლევა ჩატარდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA), ევროკავშირის წარმომადგენლობისა და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით, პროგრამის „გენდერული თანასწორობა საქართველოსთვის“ და გაეროს ერთობლივი პროგრამის "გენდერული თანასწორობისთვის“ ფარგლებში.

მასში გამოთქმული მოსაზრებები არ წარმოადგენს ევროკავშირის, შვედეთის და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ პოზიციას.

წინამდებარე მოკლე აღწერილობის ამოცანაა, ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ადრეული ქორწინების კვლევის, მთავარი მიგნებებისა და გზავნილების გავრცელება, რომლებიც დაკავშირებულია ადრეული ქორწინების ტენდენციებთან.